ქ. თბილისის მერია



ტრენინგის სახელმწიფო შესყიდვის
ელექტრონული ტენდერი

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. თბილისი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის 3

2. ტექნიკური მოთხოვნები 4

3. სხვა მოთხოვნები 4

4. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 6

5. დამატებითი ინფორმაცია 7

6. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი 8

7. დანართი N1 მომსახურების ხარჯთაღრიცხვა 13

8. დანართი N2, გარანტიის ფორმა 14

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

2. ტექნიკური მოთხოვნები:

2.1 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

ტრენინგის ფარგლებში ქალაქ თბილისის მერიის 300 თანამშრომლის საჯარო მმართველობის საკითხებში გადამზადების პროფესიული კურსი უნდა მოიცავდეს საჯარო მმართველობის სხვადასხვა საკითხებს, რაც უზრუნველყოფს მერიის თანამშრომლების ზოგადი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების დახვეწას.

1.მიზანი

გადამზადების მიზანია მერიის თანამშრომლების ცოდნის გაღრმავება და მათი აუცილებელი პრაქტიკული უნარების გამომუშავება. ამ მიზნიდან გამომდინარე, გადამზადება უნდა მოიცავდეს:

- თანამშრომლებისათვის საკლასო პირობებში თემატური ლექციების და პრეზენტაციების ჩატარებას;
- პრაქტიკული სემინარების ჩატარებას;
- მსმენელების საბოლოო შეფასებებს;
- კურსის ბოლოს საჯარო მმართველობის სფეროში ანალიტიკური დოკუმენტის შემუშავებას მსმენელების მიერ;
- გავლილ საგნებსა და საჯარო მმართველობის სფეროში ანალიტიკური დოკუმენტის დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში, კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის მინიჭებას.

2. შინაარსობრივი მოთხოვნები

გადამზადების კურსი უნდა მოიცავს სულ მცირე შემდეგ საკითხებს:

ა) საჯარო მმართველობის ანალიზი - საჯარო მმართველობის არსი, საჯარო მმართველობის სფეროში ანალიტიკური დოკუმენტის შემუშავების ტექნიკა, საჯარო გამოსვლები და ეფექტური პრეზენტაცია.

ბ) საჯარო სამსახურის სამართლებრივი მოწყობის პრინციპები - საჯარო სამსახურის არსი და მისი მოწყობის სამართლებრივი საფუძვლები, კონსტიტუციური მოწყობა და ხელისუფლების შტოების კომპეტენციები, ადგილობრივი თვითმმართველობის მოწყობის პრინციპები საქართველოში, სამართლებრივი აქტების სისტემა, საკანონმდებლო პროცესი და ძირითადი სამართლებრივი ინსტრუმენტები, ადმინისტრაციული წარმოება და ადმინისტრაციული აქტები, შრომითი ურთიერთობები,ეთიკა საჯარო მმართველობაში.

გ) ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები - ეკონომიკის არსი, მიკროეკონომიკისა და მაკროეკონომიკის ძირითადი ცნებები, მთლიანი შიდა პროდუქტი, უმუშევრობა, ინფლაცია, ეკონომიკური ზრდა.

დ) სახელმწიფო ბიუჯეტი - საბიუჯეტო კანონმდებლობის მიმოხილვა, საბიუჯეტო პროცესი, მაკროეკონომიკისა და ბიუჯეტის ურთიერთმიმართება, საბიუჯეტო კლასიფიკაცია, დეფიციტი, ადგილობრივი საბიუჯეტო პროცესი, ტრანსფერები, გათანაბრებითი ტრანსფერი.

ე) გადასახადები - გადასახადების შინაარსი და კლასიფიკაცია, გადასახადების გავლენა ეკონომიკაზე, საშემოსავლო და მოგების გადასახადები, ქონების გადასახადი, არაპირდაპირი გადასახადები, იმპორტის დაბეგვრა, აქციზი.

ვ) საგარეო პოლიტიკა - საქართველოს ინტეგრაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველო და ევროკავშირი, საქართველოს ოკუპაციის საერთაშორისო ასპექტები.

ზ) ლიდერშიპი - ლიდერობა და მართვა, ეფექტური კომუნიკაცია, კონფლიქტების მართვა, ეთიკა და ლიდერობა, ცვლილებების მართვა.

<u>შენიშვნა:</u>
<u>თითოეულ ჩამოთვლილ საკითხს უნდა დაეთმოს მინიმუმ 5 ასტრონომიული საათი.</u>

4. აკადემიური მოთხოვნები

1. პრეტენდენტი უნდა წარმოადგენდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას და უნდა შეეძლოს გადამზადების კურსების განხორციელება ერთ მისამართზე ქ. თბილისში. მომსახურების გაწევა სრულად უნდა უზრუნველყოს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ.

2. კურსის ბოლოს მიმწოდებელმა წარმართებით კურსდამთავრებულებზე თავისი სახელით უნდა გასცეს სერტიფიკატი.

3. პრეტენდენტს ამ პროგრამის ფარგლებში უნდა შეეძლოს ერთდროულად არანაკლებ 100 მონაწილის მიღება, ისე რომ ერთ ჯგუფში მსმენების რაოდენობა არ აღემატებოდეს 30-ს. მთლიანად მიმწოდებელმა უნდა შეძლოს 300 მონაწილის მიღება. გადამზადების კურსები უნდა ჩატარდეს აკადემიური პროცესისთვის განკუთვნილ ფართში - აუდიტორიაში, რომელშიც შესაძლებელი უნდა იყოს 30 მსმენელის თავისუფლად განთავსება.

4. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სასწავლო მასალების მონაწილეებისათვის უსასყიდლოდ მიწოდება.

5. მატერიალურ-ტექნიკური მოთხოვნები

1. გადამზადების კურსები უნდა ტარდებოდეს მატერიალურ-ტექნიკურად სასწავლო მიზნების შესაბამისად აღჭურვილ, კეთილმოწყობილ (გათბობა, ელექტროენერგია, წყალმომარაგება) შენობაში.

2. აუდიტორიები აღჭურვილი უნდა იყოს პროექტორით და საპრეზენტაციო დაფით.

3. გადამზადების კურსების მონაწილეებისათვის სალექციო საათებს შორის შესვენებებისას შესაძლებელი უნდა იყოს მონაწილის მიერ შესაბამისი საფასურის გადახდით კვების ობიექტით სარგებლობა შენობაში.

4. გამოცდები უნდა ჩატარდეს კომპიუტერიზებულად, ხოლო საგამოცდო ცენტრში შესაძლებელი უნდა იყოს ერთდროულად მინიმუმ 100 მონაწილის გამოცდა.

5. გადამზადების კურსების მონაწილისათვის კურსის მიმდინარეობის განმავლობაში შესაძლებელი უნდა იყოს მიმწოდებლის ბიბლიოთეკით უსასყიდლოდ სარგებლობა.

6. გადამზადების კურსის ხანგრძლივობა

1. გადამზადების კურსი უნდა მოიცავდეს:

ა) არანაკლებ 80 სალექციო საათს (თითო სალექციო საათი უდრის 1 ასტრონომიულ საათს).

ბ) 10 საგამოცდო დღეს.

გ) მსმენელების მიერ კურსის განმავლობაში საჯარო მმართველობის სფეროში ანალიტიკური დოკუმენტის ჯგუფურად შემუშავებასა და მის პრეზენტაციას.

2. იმ შემთხვევაში როცა არ ტარდება გამოცდა, არ ხდება საჯარო მმართველობის სფეროში შემუშავებული ანალიტიკური დოკუმენტის პრეზენტაცია ან კვირის სამუშაო დღეებს შორის არ არის დასვენების დღეები, კვირის განმავლობაში უნდა ჩატარდეს მინიმუმ 6 სალექციო საათი.

3. კურსის ფარგლებში სალექციო საათები მორგებული უნდა იყოს თბილისის მერიის თანამშრომლების სამუშაო გრაფიკს.

2.2 პრეტენდენტის გამოცდილება:

2.2.1 პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს მოკლევადიანი (მინიმუმ 16 საათიანი კურსი) სასერტიფიკატო პროგრამების განხორციელების გამოცდილება, რაც გამოიხატება: მსგავსი ტიპის გადამზადების კურსების მინიმუმ ბოლო 3 წლის მანძილზე განხორციელებაში, რომლებიც დასრულებული აქვს არანაკლებ 500 მონაწილეს.

3. სხვა მოთხოვნები:

3.1 მომსახურების გაწევის პირობები:

3.1.1 მიმწოდებელმა გადამზადების კურსების დაწყება უნდა შეძლოს მონაწილეების სიის გადაცემიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა, მაგრამ არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა ხელშეკრულების გაფორმებიდან. შემსყიდველის მიერ გადამზადების კურსები უნდა დასრულდეს 2014 წლის ბოლომდე, ისე რომ მასში მონაწილეობა შეძლოს 300 მონაწილემ, ტენდერის პირობების შესაბამისად.

3.1.2 მომსახურების გაწევის ადგილია ქ. თბილისი.

3.2 სატენდერო წინადადების ფასი:

3.2.1 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.2.2 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

3.3 ანგარიშსწორების პირობები:

3.3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

3.3.2 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურებისა და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

3.3.3 შესაძლებელია წინასწარი ანგარიშსწორება სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 20%-ის ოდენობით, მიმწოდებლის მიერ საავანსო საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში *(საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების შესრულების ვადას).*

3.4 პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

3.4.1 მომსახურების ხარჯთაღრიცხვა დანართი #1–ის მიხედვით.

3.4.2 მომსახურების სრული აღწერა სატენდერო დოკუმენტაციის 2.1 პუნქტის შესაბამისად.

3.4.3 ინფორმაცია პრეტენდენტის მოკლევადიანი (მინიმუმ 16 საათიანი კურსი) სასერტიფიკატო პროგრამების განხორციელების გამოცდილების შესახებ, რაც გამოიხატება: მსგავსი ტიპის გადამზადების კურსების მინიმუმ ბოლო 3 წლის მანძილზე განხორციელებაში, რომლებიც დასრულებული აქვს არანაკლებ 500 მონაწილეს. აღნიშნული ინფორმაციის დასადასტურებლად პრეტენდენტმა ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს შესაბამის პროგრამაში (ან პროგრამებში) მონაწილე არანაკლებ 500 პირის სია, შესაბამისი კურსის ან კურსების დასახელებით, აღწერით და მონაწილე პირების საკონტაქტო ნომრების მითითებით.

4. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

4.1 ტენდერში გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%–ის ოდენობით, დანართი #2–ის მიხედვით.

4.2 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის მიწოდების ვადას.

5. დამატებითი ინფორმაცია:

5.1 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

5.2 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7, მე –15 სართული, საკონტაქტო პირი : მაია კვარაცხელია, ტელ: +99532 237 85 68.

6. ხელშეკრულება *პროექტი*

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. თბილისი **--. --. წ.**

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ქ. თბილისის მერია, წარმოდგენილი ქ. თბილისის მერის მოადგილის ----- სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „", მისი დირექტორის ---- (შემდგომში „მიმწოდებელი") სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - ტრენინგით მომსახურება, რომელიც მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციის 2.1 პუნქტში და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2.2 შესყიდვის საშუალება - ელექტრონული ტენდერი.
2.3 ელექტრონული ტენდერის განცხადების ნომერი - ----------
2.4 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ---- ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით;
2.5კლასიფიკატორის კოდი - 80500000.
2.6 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან -- -მდე/ჩათვლით.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1 მომსახურების გაწევის ვადა: მიმწოდებელმა გადამზადების კურსების დაწყება უნდა შეძლოს მონაწილეების სიის გადაცემიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა, მაგრამ არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა ხელშეკრულების გაფორმებიდან. შემსყიდველის მიერ გადამზადების კურსები უნდა დასრულდეს 2014 წლის ბოლომდე, ისე რომ მასში მონაწილეობა შეძლოს 300 მონაწილემ, ტენდერის პირობების შესაბამისად.
3.2 მომსახურების გაწევის ადგილია ქ. თბილისი.

4. გასაწევი მომსახურების ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
4.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

5.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პერიოდულ ინსპექტირებას და კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.
5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის თანამშრომლები.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით

გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული პირები).

6.2 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება მოხდება 2014 წლის ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ფაქტიურად გაწეული მომსახურებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით. ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,5%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.3 წინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ორჯერ დარღვევის ან 20 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით დარღვევის ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ჩამოერთმევა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2 %-ის ოდენობით.

8.4 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვეში.

8.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.6 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 პუნქტის მოთხოვნებს, დაეკისრება პირგასამტეხლო, ჩასარიცხი თანხის 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.ხელშეკრულების შესრულების გარანტია

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;
ბ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 20 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით დარღვევის შემთხვევაში;
გ)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
10.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
10.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
10.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) მომსახურების გაწევის ვადების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
10.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს

ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
11.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშEკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
12.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. უფლებების გადაცემა

13.1 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი განცხადება მესამე პირისათვის მთლიანი ან დარჩენილი უფლება-მოვალეობების გადაცემის თაობაზე, აგრეთვე, მესამე პირის წერილობითი თანხმობა ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ან დარჩენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.
13.2 მიმწოდებელს არა აქვს უფლება მხარეთა (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი) წერილობითი შეთანხმების გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.
13.3 უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

14. ფასები

14.1 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესასრულებელი ვალდებულების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებას.
14.2 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა.
14.3 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
14.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.
14.5 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

15. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

15.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.
15.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ, შEსაძლებელია გადაწყდეს მხარეთა გონივრული შEთანხმებით ან/და მოგვარდეს პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით სამართლიანობის ფარგლებში.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს

16.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს

16.4 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

16.5 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. სხვა პირობები

17.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

17.2.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

18. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი: მიმწოდებელი

დანართი #1

მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

პრეტენდენტის დასახელება_____

დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	მომსახურების გაწევის ვადები
ტრენინგი	პირი	300			სატენდერო დოკუმენტაციის 3.1 პუნქტის შესაბამისად.

ხელმოწერა _____

ბ.ა.

დანართი #2

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

(საბანკო გარანტია)

ვის:_____

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ

_____

(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში „მიმწოდებელმა“_____ ტენდერში წარდგენილი თავისი

(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.
ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

_____

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.
წინამდებარე გარანტია ძალაშია ————————
გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი
_____
_____

_____

(თარიღი)

_____

(მისამართი)